

საქართველოს მინიჭებული ღირსება

საქართველის

საშემოქმედებელი

საშემოქმედებელი

GEORGIA

DATO TURASHVILI

THE HOME

OF WINE



ამ წიგნის გამოცემისათვის განეული დახმარებისა და  
თანადგომისათვის მადლობას ვუხდით კომპანია „ბლექ სი გრუპს“  
და თავისუფლების ქარხანას.


Special thanks to Black Sea Group and Freedom Factory  
for supporting the publication of this book.





ღვინის სამშობლო ჩვენთვის,  
ქართველებისთვის,  
რასაკვირველია, საქართველოა,  
მაგრამ ჩვენი ქვეყნის  
დამოუკიდებლობის აღდგენამდე  
ეს დანარჩენ მსოფლიოში მხოლოდ  
ზოგიერთმა მეცნიერმა და ღვინის  
ისტორიით დაინტერესებულმა  
ადამიანებმა იცოდნენ.

For us, Georgians, the homeland of  
wine is certainly Georgia, but only  
a handful of academics and wine  
connoisseurs knew about it in the world  
before our country regained its lost  
independence.



ზემოთქმულის მიზეზი ბევრია (ობიექტურიც და სუბიექტურიც), მაგრამ მთავარი მაინც დაპყრობილი ქვეყნის სუსტი ხმა და ენერგიაა, რის გამოც იმ დანარჩენმა სამყარომ პატარა საქართველოს არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდა.

There are several reasons, both subjective and objective, for this, the main one being that the voice of an occupied country is weak, so the rest of the world knew practically nothing about Georgia.





მეოცე საუკუნის ბოლოს,  
როგორც კი საქართველომ კვლავ  
დაიბრუნა საბჭოთა რუსეთის მიერ  
წართმეული დამოუკიდებლობა,  
ვაზის უძველესი და უნიკალური  
ჯიშების აღდგენაც დაიწყო.  
ამიტომაც ახლა, ოცდამეერთე  
საუკუნეში, თავიდან გვინევს ჩვენი  
ქვეყნის წარდგენა დანარჩენი  
მსოფლიოსთვის, რადგან,  
სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის,  
რომ უძველესი ცივილიზაციისა და  
კულტურის ქვეყანა – საქართველო  
– ღვინის სამშობლოც არის.

Perhaps didn't even suspect it existed  
at all. At the end of the 20th century,  
as soon as Georgia regained the  
independence taken by Soviet Russia,  
the oldest and most unique kinds of  
grapevine began to be revived. That's  
why now, in the 21st century we are  
obliged to introduce ourselves to the  
world, because, sadly, not many are  
aware that apart from being a country  
of ancient civilization and culture,  
Georgia is also the homeland of wine.



ეს წიგნიც სწორედ იმ მოსაზრების მხარდაჭერაა, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ და აგრეთვე იმის ახსნის მცდელობა, თუ რატომ გვჯერა, რომ ღვინის სამშობლო სწორედ საქართველოა, მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორისაც შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს. თუმცა არავისთვის საკამათო არაა, რომ საქართველო არის უნიკალური, მრავალხმიანი, პოლიფონიური მუსიკალური

The present book is based on the premise supporting that theory, something we firmly believe in. Further, it is an attempt to explain why we believe it is so despite the fact that the opinions of experts can differ in this regard.

ფოლკლორის ქვეყანა;  
საქართველო ერთ-ერთი  
უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა,  
სადაც ჯერ კიდევ მეხუთე  
საუკუნეში დაინერა პირველი  
ლიტერატურული რომანი  
ქართულ ენაზე და საქართველო  
არის უნიკალური კულინარიული  
კულტურის ქვეყანაც, მაგრამ  
ყველაფერი, რასაც საუკუნეების  
განმავლობაში ქმნიდა ქართველი  
ხალხი, პირდაპირ უკავშირდება  
ღვინის ფენომენს.

Nobody argues, however, that Georgia is the home of the unique polyphonic singing, that it is one of the oldest Christian countries where the first novel was written in the 5th century in its native language or that it is the land of a unique culinary culture. Yet, whatever the Georgian nation has created over the centuries is directly linked to wine.







ქართული ღვინის კულტურამ განსაზღვრა კიდეც ჩვენი არქიტექტურა, ლიტერატურა და ჩვენი ხასიათის ყველა თავისებურებაც; ღვინომ შექმნა ჩვენი ტრადიციებიც და გემოვნებაც, თავისუფლებაც და სიყვარულიც, სიკვდილიც და სიცოცხლეც. ჩვენი სიცოცხლე იწყება ღვინით და ჩვენი დაბადება ჩვენი პირველი სადღეგრძელოა, ჩვენი სიცოცხლე სავსეა ღვინით და ადამიანის სიცოცხლე საქართველოში სულაც არ მთავრდება სიკვდილით,

It was wine culture that defined our architecture, literature and all traits of our character: wine shaped our traditions and tastes, our freedom and love, our life and death. Our life starts with wine when our birth is welcomed with the first toast. Wine accompanies our lives and even after death it continues to be part of us because one's name is invariably mentioned in toasts, thus immortalized,



რადგან ნებისმიერი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ამ ქვეყანაში მისი სადღეგრძელო მაინც რჩება და მისი სახელიც სადღეგრძელოში აგრძელებს მარადიულ სიცოცხლეს. მარადიულობის ეს ქართული საიდუმლოც, ალბათ, სწორედ მაშინ გაჩნდა საქართველოში, როცა ქართველების წინაპრებმა ველური ვაზის ნერგი კულტურულად აქციეს და კულტურული ვაზის დაბადება არის კიდევ ქართული ცივილიზაციის ათვლის წერტილი.

even if only in toasts. Such a secret to immortality must have appeared when the ancestors of modern Georgians discovered the wild vine and domesticated it. The emergence of the cultivated grapevine must have marked the beginning of the Georgian civilization.

